2014 წლის 30 მაისის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.36). სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი

ვლადიმერ კიკნაძე- წევრი

ლელა ბუალავა- მონაწილეობას იღებდა ონლაინ რეჟიმში

რამაზ მორჩილაძე- არ ესწრებოდა სხდომას

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 15:00 საათი

დღის წესრიგი :

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” სარევიზიო კომისიის 2014 წლის 27 აპრილის დადგენილების საფუძველზე ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

2013 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტორული შემოწმების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგად, ასოციაციაში შემოსული 4 აუდიტორული კომპანიის განცხადების გაცნობა და შერჩევა;

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და წარადგინა ასოციაციის ფინნანსური აუდიტის ჩატარების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ასოციაციაში შემოსული 4 აუდიტორული კომპანიის განცხადებები წარმოდგენილი მომსახურების პაკეტებით. წევრები გაეცნენ შემდეგი აუდიტორული ფირმების განცხადებებს: შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი", „საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია", შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია - აუდიტესკორტი", „ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგი".

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს აუდიტორული მომსახურების შესახებ. აუდიტორული კომპანიების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა კომპანიების კვალიფიკაცია, მომსახურების შეღავათიანი ფასი, ასევე აუდიტორის მზადყოფნა აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები ასოციაციის შემდგომი საქმიანობისთვის. აღნიშნული საკითხის განხილვის პროცესში ონლაინ რეჟიმში ჩაერთო კომისიის წევრი ლელა ბუალავა, რომელმაც განაცხადა, რომ იგი გაეცნო წარმოდგენილ განცხადებებს, რომელთაგან მისთვის სრულად მისაღებია აუდიტორული კომპანია შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის" მიერ წარმოდგენილი განაცხადი და პირობები.

წევრების მიერ მსჯელობის შედეგად დადგინდა, რომ განხილული განცხადებებიდან ასოციაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იყო შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის" მიერ წარმოდგენილი შეთავაზების პაკეტი აუდიტორული მომსახურების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა ერთხმად მიიღეს

<u>დადგენილება:</u>

შერჩეულ იქნას აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი", რომელიც უზრუნველყოფს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 27 აპრილის დადგენილების საფუძველზე ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული შემოწმებას. აღნიშნული მომსახურების გაწევის საფასურად განსაზღვრულია 2950 ლარი (დღგ 18%-ის ჩათვლით); შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის" "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული შემოწმების დაწყების თარიღად განისაზღვროს მ/წ 3 ივნისი, ხოლო დასრულების თარიღად - მ/წ 3 ივლისი. შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის " წარმომადგენელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით სარევიზიო კომისიის შეხვედრის თარიღად განისაზღვროს მ/წ 2 ივნისი.

სარევიზიო კომიისიის თავმჯდომარე- ლიანა მასიკაშვილი

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი- ვლადიმერ კიკნაძე

წევრი- ლელა ბუალავა